

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.  
 შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15 — 4.  
 მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-ამძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 13

1883 — 1899

15 ივლისი

**მისი იმპერატორებითი უმაღლესობის იმპერატორისა და დიდის მთავრის ბიძგის ალექსანდრეს ძის ბადაცვალება.**

სამწყუხარო ამბავმა, რომელმაც მოელი რუსეთი დაალონა და შეაწუხა, ყველას ყურადღება საქართველოსა ერთის კუთხის აბასთუმანისაკენ მიჰქცია, იმ აბასთუმანისაკენ, რომლის მშენიერი ჰავა განკურნებას უჭადოდა მემკვიდრე ცესარევიჩს და დიდ მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს, მაგრამ ღვთის განგება მიუწლომელია: ორშაბათს, 28 ივნისს, მიმა იმპერატორებით უმაღლესობამ ღვთივ განისვენა.

ასეთმა სამწყუხარო ამბავმა შავით შემოსა ყველა ტომნი, კავკასიაში დასახლებულნი. მწყუხარება კავკასიელთა მით უფრო გაორკეცებულ იქმნა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის უდროოდ განსვენება აქ, ჩვენ მხარეს მოხდა.

ყველამ, დიდმა და პატარამ, წოდებისა, წლოვანობის და ერობისა განურჩევლად, თავის ვალდებულებად სცნო მისულიყო აბასთუმანს და თაყვანი ეცა განსვენებულის გვამისათვის.

ყველა სადგურები ბორჯომამდის ძაძით შემოსილ ხალხით იყო სავსე. ბორჯომიდან აბასთუმანისაკენ მრავალი მიემგზავრებოდნენ ეტლებით, ურმებით და ფეხით. ბორჯომიდან მიმავალთა ყველას ყურადღებას იპყრობდა კარგა მოშორებით მდებარე აბასთუმანის მთები, სადაც 1891 წლის შემოდგომიდან სცხოვრებდა კავკასიის უავგუსტოესი სტუმარი.

აბასთუმანში გათენებისას მივედით. ამ დაბაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ჩვენი ყურადღება პირველადვე უთვალავმა შავმა წერტილებმა მიიპყრო: მალაზიის წარწერანი, შესავალი კარებები, ფარნის ბოძები, ერთის სიტყვით, ყველაფერი შავის ძაძით იყო შემოსილი. სასტუმროებში, რასაკვირველია,



ადგილი ვეღარ ვიშოვნეთ. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა.

ჯერ მზეს თავისი სხივები საკმაოდ არ ამოეშუქებინა, ჯერ დილის ბურუსი სავსებით არ გაფანტულიყო, რომ ზარების სამგლოვიარო რეკა მოისმა და დაბის ქუჩაზედ გამოჩნდნენ შავებში გამოწყობილნი მანდილოსანნი, მამაკაცები შავის ბანტებით, სტუდენტები, გლეხები, ადგილობრივი და ახლო-მახლო მცხოვრებნი მაჰმადიანნი და სხვანი. ყველა ესენი ეტლებით ან ფეხით ერთის მხრისაკენ მიეშურებოდნენ, იქით, სადაც ამ ჟამად ამართულია ხის ჯვარი და სადაც ღვთივ განისვენა მემკვიდრე ცესარევიჩმა. გზაზედ მარცხენა მხარეს მდებარეობს ალექსანდრე ნეველის ტაძარი, სადაც ისე ხშირად მისი უმაღლესობა ესწრებოდა წირვა-ლოცვას და სადაც გულმხურვალედ ლოცულობდა განსვენების წინა დღესაც.

ტაძრის მოედანზედ ამართულია შავი დროშები. შავადვე შემოსილია ეკლესიის შესავალი კარები და ბოძები. გამვლელნი აქ მუხლს იღრვკენ და მხურვალედ ლოცულობენ. აქედგან ხალხი უფრო მეტად დაღონებული და მწუხარე სასახლისკენ მიემართება, რომელიც აგრეთვე შავ ძაძებშია გახვეული. სასახლის წინ ყველა ქუდს იხდის და პირჯვარს იწერს. ბოლოს სასახლეს იქით მოსახვევში გამოჩნდა ის ადგილიც, საითაც ყველანი მიეშურებოდნენ. აუარებელი ხალხი იდგა იმ ადგილას. პირჯვრის წერით და ღვთის ვედრებით მიფუხლოვდით და ჩვენზედ წინ მისულთ შეფუერთდით. ჩვენ სხვები მოგვეყვნენ და ასე დილიდგან საღამომდე რიგი მოდიოდა და რიგი მიდიოდა. ამ ადგილის მოშორებით ხალხი იკრიბება და ერთმანეთს ელაპარაკება. ვინც კი იცოდა, უამბობდა გარს შემოხვეულთ სამწუხარო ამბის ყოველსავე ვითარებას. ჩვენც დაწვრილებით გადავცემთ მკითხველებს იმას, რაც უკვე მოკლედ დეპეშებიდგან უწყიან.

ორშაბათს, 28 ივნისს, მემკვიდრე ცესარევიჩი დასეირნობდა ბაღში სამფეხათი, რომელიც მოძრაობაში ბენზინს მოჰყავს. დილის 9 საათზე მისი იმპერატორებითი უმაღლესობა შეგბრძანდა სამფეხა ველოსიპედზედ და გზა-ტყეცილით ზეკარის უღელტეხილისაკენ გაემართა. ამინდი კარგი იდგა. მემკვიდრე ცესარევიჩი ჩქარა მიდიოდა (მისის უმაღლესობის ველოსიპედი საათში 35 ვერსს გადიოდა).

სასახლის წინ მემკვიდრე ცესარევიჩმა დაინახა

ურმით გრაფ ოლსუფევიცის სასახლისაკენ მიმავალი ანნა დასოვეისა და იმის მოსამსახურე ათანასე სემენიხინი, რომელთაც მაშინვე გზა აუქციეს და მოწიწებით თავი დაუკრეს. მემკვიდრე ცესარევიჩმა გაიღიმა და გზა განაგრძო.

ამის შემდეგ, ანნა ფილიპეს ასულს დოსოვეისას, როგორც მასვე უამბნია, სულ 10 წუთი არ გასულა, რომ დაუნახავს მემკვიდრე ცესარევიჩი ველოსიპედიზედ უკან დაბრუნებული. ამასთან მისი იმპერატორებითი უმაღლესობა სისხლს აფურთხებდა თურმე.

დოსოვეისამ, შეამჩნია-რა ეს და აგრეთვე დასისხლიანებული კიტელი, მაშინვე სემენიხინი სასახლეში გაგზავნა, თვით-კი დიდ-მთავარს მიჰვარდა, ხელი მიაშველა და ჰკითხა:

- რა მოგდით, თქვენო უმაღლესობა?
- არაფერი, — მიუგო სუსტის ხმით ცესარევიჩმა და მაშინვე მისს უმაღლესობას ფეხები ჩაეკეცა.

დოსოვეისამ წყნარად და ფრთხილად უაფგუსტოესი ავადმყოფი მიწაზედ დაუშვა; შემდეგ დააფლო ცარიელ ლიტრას ხელი და პატარა მდინარისაკენ გაექანა, რომელიც იქვე, შ საჟენის მოშორებით ჩაჩხრიალებდა. საჩქაროდ მოიტანა წყალი და შეასხა ცესარევიჩს, ამასთან ტუჩები გაუწმინდა შემხმარის სისხლისაგან.

შემდეგ ანნა დოსოვეისამ წყალი მისთავაზა დასალევად, მემკვიდრე ცესარევიჩმა განიერად გაახილა თვალები, ხელით თანხმობა ანიშნა, მაგრამ... საშინელის სისხლის წამოხეთქის გამო მისმა უმაღლესობამ წყალი ვეღარ მიირთვა.

9 საათსა და 35 წუთზედ მისმა იმპერატორებით უმაღლესობამ მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ წყნარად, უტანჯველად, ღვთივ განისვენა.

ანნა დოსოვეისა, რაკი დარწმუნდა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის გამობრუნებას აღარაფერი ეშველება, ყაზახთა სადგომისაკენ გაექანა. გზაზედ შეხვდა ვიღაც ბავშვი მაჰმადიანი, შემდეგ პოდპორუჩიკი კასიმოვი, რომელთაც, მტირალმა უამბო სამწუხარო ამბავი და სთხოვა წასულიყვნენ იმ ადგილას, სადაც მემკვიდრე ცესარევიჩი ბრძანდებოდა, თვით-კი სასახლისაკენ გაემართა. დოსოვეის მისვლისათანავე ყაზახები შესხდნენ ცხენებზედ და გზას გაუდგნენ. ამავე დროს სასახლიდგან ეტლებით მოეშურებოდნენ ლე-





იბ-მედიკი აიკანოვი და მისის უმაღლესობის ამაღლა.

ღვთივ განსვენებულის ცესარევიჩის გვამი სასახლეში გადაიტანეს. ელვასავით მოედო სამწუხარო ამბავი მთელ აბასთუმანს. მაშინვე ყველა სასახლისაკენ გაემართა სიმართლის შესატყობად.

ამავე დღეს აბასთუმანში ბორჯომიდან ჩამობანდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. მეორე დღეს, 29 ივნისს, ღამის 4 საათზედ მოვიდნენ: ტფილისის გუბ. თანამდ. აღმასრულებელი პოლკ. ი. ნ. სვეინი, უმაღლესის კარის ეგერმესტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი, ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ე. პ. ნიძანდერი, იმისი ამხანაგი მოსკალევი, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი და სხვანი. ამავე დღეს 10 საათზედ აბასთუმანში მყოფ ექიმებმა გასქრეს ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი.

მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი ტფილისიდან მოტანილ კუბოში ჩასვენეს დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, თავ. გ. დ. შერვაშიძემ, ი. ნ. სვეინმა, გენერალ მაიორმა რილსკიმ, მემკვიდრე ცესარევიჩის მასწავლებლად ნამყოფმა ფ. ი. ტორმეიერმა და სხვათ. შემდეგ გარდახდილ იქმნა პირველი ოფიციალური პანაშვიდი.

ადგილობრივ ალექსანდრე-ნეველის ეკლესიაში ყოველ-დღე იხდიან პანაშვიდს ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად. („კავკ.“)



### საბრძნე, მისი საჭიროება ზნეობრივი განათლებისათვის, მისი ხასიათი და მისი განვითარების საშუალებანი.

გაგრძელება \*)  
მ ნაირად, თვით გასწორების ზოგიერთ მომენტების მიმოხილვა ცხადად გვიჩვენებს, თუ რა საჭიროა სულის განუკეთესობისათვის ღრმა და გამკრიახი გონება. გვეტყვიან, რომ თუ ღრმა გონება შეადგენს აუცილებელ პირობას ზნეობით

\*) იხ. „მწყემსი“ № 12, 1899. წ.

განვითარებისათვის, მაშინ, მაშასადამე, ზნეობის განუმჯობესება მარტო ნასწავლ კაცს მოეკითხება, უსწავლელს-კი იგი ვერ შეეძლება. — როგორ, ნუ თუ ნათელი გონება მარტო ნასწავლ კაცს აქვს, უსწავლელი ადამიანი კი მას მოკლებულია? სრულიადაც არა. ის ქკუა-გონება, რომელიც ჩვენ სახეში გვაქვს, აქვს არა მარტო ნასწავლ კაცს, არამედ მიყრუებულ კუთხის სოფლელსაც, და ჩვენდა სასირცხვოდ, ეს გონება ჩვენის ეგრედ წოდებულ განათლებულ საზოგადოების უმრავლესობას დაკარგვია და სოფლელეში კი შენახულა. რა არის ახლანდელი განათლებული ვაჟბატონი, რომელიც თვის სწავლით იყინება და სოფლელებს გონება დაბნელებულ, ბრიყვ ხალხად სთვლის? არის მასში მართლა ნათელი გონება? სამწუხაროდ არა. მისი გონება წარმოადგენს საბარგო ოთახს, რომელში მას დაწყობილი აქვს ის, რაც სხვებისთვის წაუგლეჯია, მთელ თვის სიცოცხლეში უღეკია, რაც მას სხვა-და-სხვა წიგნებიდამ ამოუკითხია; ხოლო მის მიერ, მისივე შრომით მოპოვებული კი შიდ არასფერია. მსჯელობის დაწყებამდის რომელიმე საგანზე ის ჯერ თვის საღაროში შეიხედავს და თუ დაინახა შიდ ამ საგნის შესახებ წიგნებიდამ ამოკითხული აზრები, ხომ იმქვერმეტყველებს, და თუ არა, მაშინ თქვენი მტერია, ის წახდება, ანუ დასდებს საცოას პირსა თვისსა, ანუ დაიწყებს უაზრო ჩმახვას. რომ კითხოთ მას, რისთვისაა იგი ამა და ამ საგანზე ამა და ამ აზრისა, ის გიპასუხებს, რომ ეს და ეს მეცნიერი ასე ამბობს, ამას ამტკიცებს, ამას უარ ყოფსო, ერთი სიტყვით, ის აზროვნებს და ლაპარაკობს ვილაც მეცნიერის გონებით და ენით; ხოლო დამოუკიდებელი, მასშივე წარმოშობილი მსჯელობა მას არ აქვს; მისი გონება თვისთავად ვერ ამოძრავდება და ვერასფერს შექმნის. ახლა, ამისთანა გონება თუ მაღალ გონებად ჩავთვალეთ, მაშინ, რასაკვირველია, უნდა ვსთქვათ, რომ სოფლელები მაღალ გონებას მოკლებულნი არიან; მაგრამ ამისთანა გონება არ არის მაღალი გონება. ნამდვილ ნათლოვან გონებას კი უსწავლელეშიც ხშირად ვხედავთ. ნუ თუ იმიტომ, რომ სოფლელმა უცხო ენები არ იცის, ლოლიკა არ უსწავლია



დარგინის თეორია არ წაუკითხია, მოსკოვში და პეტრეს ქალაქში არ ყოფილა, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მას სალი, მაღალი გონება არ აქვს? ნუ თუ იმიტომ, რომ სოფლელს არა აქვს ის ცოდნა, რომელიც ჩვენ გვაქვს, შეგვიძლია გარდაკვეთით დავამტკიცოთ, რომ იგი სწორ ნათლოვან მსჯელობას მოკლებულია? თუ ეს ასეა, მაშინ თვით ნასწავლებმა ერთი მეორეს რეგგენი უნდა უწოდონ, რადგან ერთს არ აქვს ის სპეციალური ცოდნა, რომელიც მეორეს აქვს. ექიმმა უგურ კაცად უნდა ჩათვალოს მსაჯული, რადგან ამან არ იცის უბრალო სნეულების ხასიათი და მისი წამლობა; მსაჯულმა მასწავლებელი, რადგან ეს სრული უმეცარია კანონებში და კანცელარიის საქმეების წარმოებაში; მასწავლებელმა ინჟინერი, რადგან ამას პედაგოგის არასფერი გაეგება რა, ბავშვის აღზრდის და სწავლის წესების არასფერი ესმის; და მაშასადამე სოფლელსაც შეუძლია ნასწავლი კაცი ჩათვალოს ბრიყვად, ჭკუა ნაკლებ კაცად, რადგან მან მიწის დამუშავება, მეურნეობა, მრეწველობა არ იცის. იმის გამო, რომ სოფლელმა არ იცის მათემატიკა, ფიზიკა, ფიზიოლოგია, ასტრონომია და სხვა, ის კი არ მტკიცდება, რომ იგი გონებრივ ძალას მოკლებულია. ჩააყენეთ იგივე სოფლელი იმავე პირობებში, რომლებშიც ნასწავლი კაცი არის, ჩაახედეთ მას დამახლოვებულ და გამადიდებულ შუშებში, — და ისიც ალაპარაკდება ისე, როგორც ნასწავლი, და იტყვის, რომ მთვარე მიწაზე უპატარესია, მზე მიწაზე უდიდესია, რომ ყვავილის მიზეზი რაღაც ბატონები კი არაა, არამედ პატარა, შეუიარაღებელ თვალთ უხილავი ცხოველებია. რომ უსწავლელი ხალხი რეგგენად არ ჩაითვლება, ამას მოწმობს მისი გამოთქმული მოკლე სიტყვები, პოეტური ნაწარმოებნი, რომლებიც სავსე არის ღრმა, მაღალი და მაცისკროვნებელ აზრებითა, გრძნობებითა, მისწრაფებითა, დაკვირვებითა. მართალია, ეს ნაწარმოებნი არიან ნაყოფი ხალხის კოლექტიური გონებისა, მაგრამ ეს კოლექტიური გონება საიდგან შესდგება, თუ არ კერძო გონებათაგან; და თუ კერძო გონება ძლიერი არ არის, მაშინ კოლექტიური გონებაც სუსტი იქნება. შემდეგ, უსწავლელ კაცის მაღალ გონიერებას მოწმობს სოფლის ხალხზე დაკვირვება. ხში-

რად შეხვდებით იმისთანა სოფლელს, რომელიც გაგაოცებსთ თვის დინჯ, საფუძვლიან მსჯელობითა, დაკვირვებითა, აზროვან სიტყვა-პასუხით, თვის სის უტყუარ გამოცდილებითა და სწორ შეხედულებითა ამა თუ იმ მოვლენაზე; და რომელიც თვის ცნობის მოყვარეობითის კითხვებით ბევრ განათლებულს გააწითლებს. დიად, უსწავლელი ადამიანი არაა მოკლებული ღრმა გონებასა, და მის გამჭრიახ გონებას შეუძლია რიგიანად უწინამძღვროს მას ნების გაწვრთნაში, ბოროტებაზე გამხედრებაში, კეთილისადმი ღტოლვილებში და ქრისტიანულ ცხოვრების გამტკიცებაში.

ამნაირად, აზროვნების ძალა და სიმკვირცხლე, რომელიც შეუძლია გამოიჩინოს როგორც ნასწავლმა, ისე უსწავლელმაც, აუცილებლად საჭიროა სულის სიწმინდის მოპოებისათვის. განა თვით მაცხოვარმა არ ბრძანა: „იყავით მშვიდნი, ვითარცა მტრედნი, და ბრძენნი, ვითარცა გველი“, და მით არ გვიჩვენა, რა კავშირი აქვს ზნეობრივ განათლებას გონებასთან? აგრეთვე ყველა წმინდანები ერთხმად აღვიარებენ, რომ სულის განუკეთესობისათვის, სხვათა შორის, საჭიროა მაღალ გონიერება, საფუძვლიანი მსჯელობა, დაკვირვება.

ახლა ვაჩვენოთ, თუ როგორი გონება უნდა იწოდოს ნათელ გონებად და აქედამ, საჭიროდ ზნეობრივ განვითარებისათვის, მაღალ-გონიერ კაცად მართო ის კი არ ჩაითვლება, ვისაც შეთვისებული აქვს მრავალგვარი ცოდნა, ვისაც გეომეტრიული თეორემები სისწორით გამოყავს, ვინც იცის, რა სიმძიმის და სიდიდისაა მნათობნი და პლანეტნი, რა მანძილზე არიან ისინი ერთი მეორეზე; ვინც იცის, ვინ იყო და რა გააკეთეს დარი გისტასპმა, თემისტოქლემ, ალექსანდრე მაკედონელმა, იულიოს ცეზარმა, კარლდიდმა, ელისაბედ დიდმა, ფრიდრიხ დიდმა და სხ. რა აზრის იყვენ ბუდდა, პლატონი, არისტოტელი, კანტი, გველი, ბოკლი, მარქსი და სხვანი. ადვილად შეიძლება, რომ კაცმა ბევრი რამ იცოდეს, მაგრამ ნათლოვანი აზროვნება კი არ ქონდეს. და ესეც შეიძლება, რომ კაცს მეცნიერული ცოდნა არ ქონდეს, და ღრმა, ნათლის ჭკუის კი იყვეს. ძალა, სიმკვირცხლე, ნათლიერება გონებისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ღრმად უკვირდება საგანს, რომელზედაც ჩამოვარდება ხოლმე ლაპა-






რაკი, ყოველმხრივ იკვლევს მას, სისწორით განსაზღვრავს მისს შინაარსსა, სჯის საფუძვლიანად, არ მსჯელობს პირველ შთაბეჭდილებათა ზედგავლენის ქვეშე, ყოველივე თვისს დასკვნას შეურყვეველ საფუძველზე ამყარებს, მოქმედობს, ცოტათი თუ ბევრად, დამოუკიდებლად, სხვის აზრებს არ ემონება, შეუცდომელად ასწონ-დასწონის ცხოვრების მოვლენათა, არ ჯერდება მათის ზედაპირულ შხრითა, არამედ უფრო ღრმად ჩაუკვირდება მათ, გამოიძიებს მათ მიზეზთა და შედეგთა, ადვილად გებულობს მათ შედარებით უპირატესობას და ღირსებას; წარმატებით უკვლევს გზას თვისს ნიშანში ამოღებულ მიზანს, ნამდვილ შესაფერ საშუალებათა ირჩევს; დახლართულ და ბნელ მოვლენათა ადვილად ხსნის, ნათლად სჭვრეტს არა მარტო აწმყოსა, არამედ მომავალსაც, ხედავს ამა და იმ მოვლენასა რა მოყვება, და აქვს ცხოვრებაზე სწორი შეხედულება. ამისთანა გონებას უწოდებენ სიბრძნეს. სოლომონს, ებრაელთა მეფეს, უწოდებენ ბრძენს იმისთვის, რომ იგი, როგორც მის ნაწერებიდამ სჩანს, ნათლად და სისწორით სჯიდა სხვა-და-სხვა საგნებზე და მოვლენებზე, ადვილად ხსნიდა და განმარტებდა ცხოვრების ამა თუ იმ კითხვას, მისი შეხედულება ცხოვრების ამა და იმ მოვლენაზე იყო ჭეშმარიტი, დაურღვეველი. აი ასეთ გონებას ქვიან ნამდვილი ნათელი და ღრმა გონება. ამნაირის გონების პატრონს ყოველივე საქმეში წარმატება აქვს. განსაკუთრებით კი იგი საჭიროა ზნეობით განუმჯობესობის საქმეში. და აი ამნაირის გონების ფლობა სასურველია ყველასთვის. ადამიანი სხვა-და-სხვა გვარ ცოდნის შეძენაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ ზემო ნაჩვენებ გონების ძალის, ანუ სიბრძნის მოპოებაზე, რადგან მხოლოდ ასეთი გონებრივი ძალა შეაძლებინებს მას ზნეობით განახლების რთულ და მძიმე საქმეში წარმატებას. ეს სულიერი ნიჭი ადამიანს ბუნებით თან-დაყვება, გარნა მას უნდა გავარჯიშება, გაღონიერება, განათლება, რათა უფრო უკე-

თესად და წარმატებით იმოქმედოს. ხოლო რა საშუალებით შეიძლება მისი განვითარება?

თავდაპირველად დაკვირვებით ცხოვრებაზე, თვისისაზე, ტოლ-ამხანაგებისაზე, ნაცნობებისაზე და მთელის საზოგადოებისაზე. ადამიანი თვალყურს ადევნებს ცხოვრების თვითოველ მოვლენას, რომელიც მის გარშემო ხდება; რაც უნდა წვრილმანი და სხვის შეხედულებით არა-საყურადღებო მოვლენა იყოს, ის მაინც არ უგულვებელს-ყოფს მას და გამომკვლეველის თვალთ მიაპყრობს მას. აკვირდება ხასიათის გამოჩენას და მოქმედებას ამხანაგთა, ნათესავთა, ნაცნობთა და ყველა იმ პირთა, რომლებამდის-კი მას თვალი მიუწვდება. სჩხრეკს და ბჭობს, რისთვის მოხდა ეს და ეს შემთხვევა, რამ გამოიწვია იგი, რამ აიძულა ამა და ამ პირს ასე მოქცევა, რა შედეგი მოყვა ანუ მოყვება ამა და იმ ქცევას. იძიებს, რისთვისაა ეს და ეს ადამიანი ამნაირის თვისებისა, ჩვეულებისა, რამ იქონია მასზე ასეთი გავლენა, რა გარემოებამ მიიყვანა იგი ამა და ამ მდგომარეობამდის. სჯის, თუ რა საშუალებით შეიძლება ამა და იმ მოვლენისაგან წინათ დაცვა, მისი აცილება თავიდანა, რითი მოისპობა ეს და ის გარემოება, რით შეიძლება ადამიანის სამწუხარო მდგომარეობის შეცვლა უკეთესად. ის ისმენს სხვა-და-სხვა პირების მსჯელობას ამა და იმ საგანზე, ადარებს მას მის-მიერვე შემუშავებულ აზრებს და მიუფერებლად იკვლევს, თუ ვისი შეხედულებანი უფრო ნიადგიანნი და ჭეშმარიტნი არიან. ასეთი დაკვირვება და მსჯელობა შეადგენს აზრის უკეთესს გიმნასტიკას. ამათგან გონება ძლიერ იწვრთნება, იღვსება, და მას ზრდა შესამჩნევად ეტყობა.

კაჭხიძე.





**იმაერთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების საგანგებო კრება ქ. ქუთაისში მაისის 31 ღ ივნისის 1 ღ 2 რიცხვებში**

გავრძელება \*).

კრების გახსნისათანავე თავმჯდომარემ, როგორც წინეთაც მოვიხსენიეთ, კიდევ ხელმეორედ წაიკითხა სარევიზიო კომიტეტისაგან შედგენილი სიგელები.

დეკ. დ. დამბაშიძე. ძლიერ გვაკვირვებს თავმჯდომარის საქციელი. ჩვენ ვგონებთ ერთი კითხვაც კი საკმარისი იყო და რა საჭიროა ორჯერ და სამჯერ წაკითხვა ამ სიგელებისა? უცხო კაცმა რომ ყური დაუგდოს კომიტეტისაგან შედგენილ სიგელებს, გაკვირდება ამ სარევიზიო კომიტეტის ვითომ დიდის შრომით და დაწვლილებითი სანთლის ქარხნის ანგარიშების გამოკვლევით. ერთის მხრით კაცი გაკვირდება და იტყვის: სად ქონდათ იმდენი დრო ამ კომიტეტის წევრებს, რომ ასე დაწვლილებით გამოიკვლიეს და ასწონეს ყოველივე ქარხნის მასალაო. უნდა იცოდეთ, მამანო დებუტატო, რომ ეს სიგელები სხვა ახალი რამ არაფერია, იგინი არიან მხოლოდ პირი სანთლის მმართველი კომიტეტის მიერ შედგენილი ანგარიშებისა ფულის შესავალ-გასავალზე, სანთლის ქარხნის მასალაზე და დამზადებული სანთლის რაოდენობაზე. დამატებულია ყველა ამ სიგელებში სარევიზიო კომიტეტის შენიშვნები, რომელთა შესახებ ჩვენ მზად ვართ ეხლავე მოგახსენოთ პასუხი ყოველ მათ შენიშვნებზე.

«16 მანეთს და 66 კაპ., მიღებულს კონტროლერის ერასტი თუთბერიძისაგან, სარევიზიო კამისია დახარჯულ ფულად არა სთვლის, რადგან ამ ფულის მიმღები ზედ ხელს არ აწერსო». ეს 16 მან. და 66 კაპ. გამოართვა კონტროლერმა ერასტი თუთბერიძემ სანთლის საწყობში მჯდომს ნიკიფორე ბოლქვაძეს ჩემდა შეუტყობლად და მე ორი თვის განმავლობაში არც კი ჩავსწერე ეს ხარჯი გასავლის წიგნში, რადგან არ ვიცოდი, მართლა მიღებული ჰქონდა თუ არა. როდესაც თვითონ კონტროლერმა დაამოწმა ამ ფულების მიღება, გავსწერე წიგნში, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, დღესაც არ აწერს ხელს

კონტროლერი და არც არაფერს შენიშვნას სწერს იმის შესახებ, რომ ეს ხარჯი მისგან ხელ მოუწერელია. ალბად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევას თავისი მიზანი უნდა ჰქონდეს... პასუხი უნდა მოეთხოვოს ამაზე თვით კონტროლერს.

მოიყვანეს კონტროლერი და როცა კითხეს აი რა განაცხადა:

კონტროლერი. დაბეჯითებით არ შემიძლია ეს თქვა, რომ ეს ფული მიღებული მქონდეს, ან ის ეს თქვა, რომ არ მიმეღოს.

დეკ. დ. დამბაშიძე. 1897 წლის ჯამაგირი მიიღეთ თუ არა?

კონტროლერი ერ. თუთბერიძე. მიღებული მაქვს სრულებით.

დეკ. დ. დამბაშიძე. რომელი თვის ხარჯია ეგ 16 მან. და 66 კა.?

კონტროლერი ე. თ—ძე. ეს ხარჯია დეკემბრის თვის. თუ 1897 წლის წიგნში არ არის დეკემბრის თვეში გაწერილი და იქ არ მაქვს ხელი მოწერილი, რასაკვირველია, ჩემი მიღებული იქნება.

დეკ. დ. დამბაშიძე. ვსთხოვ კრებას მოითხოვოს 1897 წლის შესავალ-გასავლის წიგნი, რომლიდანაც ცხადად დამტკიცდება ჩვენი ნათქვამი.

კომიტეტი იხსენიებს 30 მანეთს და 5 კაპ., რომლის მიღებაზედ ვითომ ხელს არ აწერს მიმღები, ღ რომელსაც ამ ფასის სანთელი მიუცია ქარხნისათვისო. მიღებული სანთელი თითქმის პირველი საბუთია ამ ფულის ხარჯში გასავლისა, მაგრამ კომიტეტს ავიწყდება ის, რომ ეს ხარჯი ნაჩვენებია გასავლის წიგნში № 112-სა ქვეშ, და დატოვებულია ბედ, რომელიც მიეცა სანთლის მომტანს როგორც მისგან დატოვებული ბედ. ეს ცხადად ჩანს წიგნიდან. ერთი გროში სანთლის ქარხანას ამ ანგარიშით არა აქვს ღლია-რა.

სარევიზიო კომიტეტს შეუნიშნავეს 135 მანეთი და 85 კაპ. გაწერილად 6 ფუთი და 15 გირვ. სანთლის ცვილისათვის. ეს სანთელი, მართალია, იყიდა სანთლის გამგე კომიტეტმა შესავსებლად იმ ნაკლისა, რომელიც აღმოუჩნდა ოსტატს 1898 წლის დამდეგს. ეს ნაყიდი ცვილი არ არის ნაჩვენები შემოსულ მასალად, რადგან ოსტატის ანგარიშით უნდა ყიდულიყო და კიდევ იყო ნაყიდი. ამ სახით ოსტატს ეს ფული უნდა გამოკლებოდა ჯამაგირიდან, მაგრამ შეცდომით მოხდა, რომ არ გამოეკლო თავის დრო-

\*) იხ. „მწყემსი“ № 12, 1899 წ.





ზედ და ეხლა კიდევ განაცხადა, რომ მისი ზალოგიდან შეივსოს და შეივსო კიდევ ის 135 მან. და 85 კაპ. აქ არის მხოლოდ უბრალო შეცდომა, რომელიც თვითონ კანტროლსაც ვერ შეუნიშნავს, და არა ბოროტ-განზრახულება. ეს შეცდომა, რადგან წიგნში კი არის ნაჩვენები ნაყიდი სანთელი, ყოველთვის შეინიშნებოდა და არც კი მოხდებოდა ეს შეცდომა, რომ კომიტეტის წევრს ლეკვეიშვილს, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა საქმის წარმოება, თავის დროზედ შეედგინა ანგარიში და მიექცია ყურადღება ამ შეცდომისთვის. მაშასადამე ფულის ანგარიში სრულებით სწორი არის ჩვენ მიერ შედგენილ ანგარიშისამებრ და არავითარი ნაკლებულობა აქ არ აღმოჩნდება.

ქვევით, განაგრძობს სარევიზიო კომიტეტი, „არ არის ხელ მოწერილი 4406 მან. გასავალიო. მართალია, არ არის ხელ-მოწერილი, რადგან ფულები გაგზავნილია ხაზინის გარდაცემით. აქ ჩვენის მხრით არავითარი საექვეო არ უნდა იყოს-რა. პირველი დამამტკიცებელი საბუთი ამ ფულების დახარჯვისა არის ის სანთელი, რომელიც მიღებულია ამ ფულით და ნაჩვენებია ცხადად მასალების დავთარში. როდესაც ამ ფასის სანთელი ხელში იმექონება, რაღა საჭიროა აქ ექვის შემოტანა და ხელის მოწერა მაშინ მეტადრე, როდესაც ხაზინის და სახელმწიფო ბანკის საშუალებით იგზავნება და მიიღება ფული? კომიტეტი სწერს: ფულის მიმღები ერთგან თვითონ აწერს ხელს და მეორე ადგილას მისი უწერილობის გამო სხვა აწერს ხელსო. ტყუილია ეს თქმა კომიტეტისა. ერთი და იგივე პირი აწერს ხელს ყოველთვის ამ სანთლის გამყიდველის უწერილობისა გამო. გადაათვალიერეთ წიგნები და თქვენ ცხადად დაინახავთ ამას, რომ ყოველთვის ერთი და იგივე კაცი აწერს ხელს და არა სხვადასხვა. ხან-დის-ხან, მართალია, ერთი ნახევარი რომ არის დასაწერი სიტყვების დაწერილი, მეორე ნახევარი დარჩენილია. აქ არის სულ უმნიშვნელო შეცდომა და არა ბოროტ-მოქმედება.

დუბ. ს. მუკაჯაიქ. დეკ. დ. ლამბაშიძე განაცხადებს, რომ ფულები გაგზავნილია ხაზინის გადაცემითო. რად აგზავნიდა ხაზინით, ის არა სჯობდა, რომ ფოსტით გაეგზავნა?

დეკ. დ. ლამბაშიძე. რა უნდა აუხსნა იმისთანა კაცს, რომელსაც ისიც არ ესმის, რომ ოთხი ათასი

მანეთის გაგზავნა სჯობს ხაზინით და არა ფოსტით-არ ესმის ის, რომ ფოსტით ამდენი ფულის გაგზავნა ხუთ მან. დაჯდება, როცა ხაზინით რაღაცა ორი აბაზი მოუნდება. მაგისტანა ხარჯის სტატიაზე სულაც რომ არავის ხელი იყოს მოწერილი, არა უშავს რა, რადგან ხაზინა სანდოა ამ შემთხვევაში. ჩვენ მაინც კიდევ ხელს ვაწერინებდით ფულის მიმღებს, რომ გაგზავნილი ფულები მიიღო და ფულების მიღებაზე წერილებიც კიდევ საქმეში გვაქვს.

ქვევით, განაგრძობს სარევიზიო კომიტეტი, ფულია გაწერილი ფეიქაროვის მალაზიის სახელზედო და ფულის მიღებაზედ კი სხვა აწერს ხელსოა. როგორც ჰგავს, სარევიზიო კომიტეტის აზრით თვითონ მალაზიას უნდა მოეწერა ამ ხარჯზე ხელი! ნივთია ნაყიდი ფეიქაროვის მალაზიაში და ხელს აწერს მისი კასიერი, ვინც უნდა იყოს იგი. რა არის შესანიშნავი აქ? ასეა ყველგან მიღებული და თვითონ მალაზიის პატრონები მალაზიაში არც კი არიან. ამისთანა უნდა შენიშვნა ცხადად ამტკიცებს ზნეობითი ხასიათს სარევიზიო კომიტეტის წევრებისას და მათი მისწრაფების მიზანს!..

უკანასკნელად ფულის ანგარიშის სიგელში სარევიზიო კომიტეტი სწერს: „ფულები მიუსესხებიათ ქუთაისის კათედრის სობოროს კრებულისათვის 100 მანეთი, გაწერილა ეს ფულები იოსებ ბუაძის სახელზედ და იღებს მისი შვილი!.. სარევიზიო კომიტ. წევრებს რომ ცუდა განზრახვა არ ჰქონებოდათ და განგებ არ სურდეთ სამღვდლოებაში უკმაყოფილების ჩამოგდება ჩვენ წინააღმდეგ, პირდაპირ ამოწერდენ ამ გასავალს წიგნიდგან და არავინ უკმაყოფილო არ დარჩებოდა. წიგნში სწერია: «მოწერილობისამებრ ყოველად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონისა 13 ივლისიდან 1898 წ. № 2059 გაიწერა ასი მანეთი ქუთაისის კათედრის სობოროს კრებულის იმ წევრთა გზის (პროგონის) ფულად, რომელნიც ეახლნენ მის ყოველად უსამღვდლოესობას სვანეთში“. საქმე ამ ნაირად გახლდათ: მათი ყოველად უსამღვდლოესობისაგან ჩვენ გვეთხოვებოდა სანთლის ფულისაგან სესხად გზის ხარჯის ფული საკათედრო კრებულის იმ წევრთათვის, რომელნიც უნდა ხლებოდნენ სვანეთში იმ პირობით, რომ მათ თავის ჯამაგირიდან გადაეხადათ ეს ფულები. ეს ფულები უნდა გაგვეწერა ამ კრებულის სახელზედ,



მაგრამ კრებულის წევრებმა არ ისურვეს ამისთანა ხელწერილის მოცემა. ბოლოს გვიბრძანა, რომ გადაგვეცა იოსებ ბუა-სათვის, რომელიც ებარქის კანცელარიაში მსახურებს და ეახლა სვანეთში რევების მოხდენის დროს მათ შეუფერხებინა. იმან, ბუაძემ თავისი შვილის პირით მთხოვა ამ ფულების გარდაცემა, რადგან თვითონ ვერ მოვიდა საწყობში, და მეც მას მოვაწვინე ხელი, რომ ფულები მიიღო თავის მამაზედ გარდასაცემად. ხოლო კვიტანცია კი იმეკნება ი. ბუაძისასაქმეში. რა არის აქ წინააღმდეგი? ნუ თუ სარევიზიო კომიტეტის წევრებმა არ იცოდნენ, რომ ჩვენ აქ ვმოქმედებდით მღვ.-მთავრის ბრძანებით რა არავითარი საწინააღმდეგო და კანონის დარღვევა აქ არ იყო-რა? ამას დაწერილი სტატია აშკარად ამტკიცებს და მათაც ეს კარგად იცოდნენ, მაგრამ თავის ცუდი განზრახულებისათვის და სამღვდელოების თვალში სხვა-და-სხვა ექვის აღძვრისათვის საჭირო იყო ასე უკუღმართად და გადასხვაფერებულად ეჩვენებიათ სიგელში ეს ხარჯიც. ამის შემდეგ რა კელილ განხილვასა და გამოძიებას უნდა მოელოდეს კაცი ამისთანა პირებისაგან, რომელნიც მხოლოდ შურითა და მტრობით არიან აღჭურვილნი. კომიტეტი სიგელში, სხვათა ხარჯთა შორის იხსენიებს 27 მანეთს, რომელიც მიცემია ვითომ ჩვენს სტამბას „იარლიკების“ დასაბეჭდად. 1898 წ. „იარლიკის“ დასაბეჭდად დახარჯულა 15 მ., მაგრამ სარევიზიო კომიტეტს 15 მ. 27 მ. გაუღიდებია. რა უნდა ვიფიქროთ ამისთანა რევიზორებზე? აი, ეს შენიშვნა საკმაო, რომ კაცმა შეადგინოს აზრი სარევიზიო კომიტეტის წევრების ზნესა და ხასიათზე.

სარევიზიო კომიტეტის მეორე სიგელი აგვიწერს დამზადებული სანთლის ანგარიშს 1898 წლისას. ესეც ჩვენი ანგარიშის თითქმის ნამდვილი პირია და აქ სარევიზიო კომიტეტს, მათდა სამწუხაროდ, ვერაფერი უკანონობა ვერ შეუმჩნევია...

მესამე სიგელში მოყვანილია ანგარიში სანთლის ქარხნის მასალის რაოდენობაზე, და ეს ცნობებიც თითქმის იგივეა, რაც ჩვენს ანგარიშშია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ კონტროლერის თანადასწრებით შემოწმების დროს ოსტატს წლის ბოლოს და-

აკლდა 28 ფუთი სანთლის ცვილი და სარევიზიო კომიტეტის ანგარიშით უნდა აკლდებოდეს 31 ფუთი და 10<sup>7</sup>/<sub>8</sub> გირვანქა, მაგრამ სამი ფუთით იგი შემცდარია; ვინაიდან «სკიდკა» ოროლი გირვანქა ფუთზედ არ უანგარიშია გადარჩენილ მასალაზე. მაშასადამე ამ მესამე სიგელითაც არავითარი ბოროტ-მოქმედება არ აღმოჩნდა, გარდა ორიოდ-სამიოდე უბრალო სარევიზიო კომიტეტის შენიშვნისა, რომელზედაც საჭიროდ არც კი მიგვაჩნია რაიმე პასუხის გაცემა.

მამა ტიმოთე კაპანაძეს დაუკავებია შესავლ-გასავლის წიგნი ხელში და აღარ იძლევა. რა მისი საქმეა, რომ მაგ წიგნს აღარ ელევა ხელიდან? მათ ანგარიში შეადგინეს, სიგელები დასწერეს და წარმოუდგინეს კრებას. ეხლა კრებას აქვს საქმე ჩვენთან და არა კომიტეტს. რომ ამ სამივე სიგელით არავითარი ბოროტ-მოქმედება სანთლის ქარხნის კომიტეტისაგან ჩადენილი არ აღმოჩენილა. ეს მტკიცდება მით, რომ თვითონ სარევიზიო კომიტეტიც ვერ ჰხედავს იმის თქმას, რომ კომიტეტის მოქმედებაში რაიმე შეცდომა მომხდარიყოს ბოროტ-განზრახულებით. რაიცა შეეხება წიგნში გადასწორებას, წაშლილობას ზოგიერთი ადგილებისას, ამისთანა რამე საზოგადოდ ყველგან მოხდება ხოლმე და, თუ ბოროტ-განზრახულებით არ არის ესეები ჩადენილი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გვარი საქმის წარმოებისათვის, როგორც არის წმინდა სანთლის წარმოება. აი ეს გახლავსთ ყველა შენიშვნები სარევიზიო კომიტეტისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ კომიტეტის წევრებს არ შეუძლიათ სთქვან, რომ ყველა გადასწორებასა და მათ შენიშვნებში იყოს ისეთი რამ, რომელსაც კაცის ექვში შეყვანა შეეძლოს.





კანფონსანის ალსარება

გაუმარჯოს ჩემს კუჭს,  
გაუმარჯოს ჯიბესს, —  
ჩემი ბრძოლის დროშასზე  
მიწერია მე ესა...

ჩემი დმერთი ჯიბეს,  
მაცხოვარი—კუჭია,  
ამათ მეტი ამ ქვეყნად  
შევაფერა ფუჭია.

რა სიტყვაა: სამშობლო,  
რას მაქვიან ერია?!  
ჯიბე—კუჭის მონაა,  
ჭაბუკი, თუ ბერია...

საერო საქმისათვის  
ზრუნვა რადს მარგია?  
კუჭისათვის თავს ისეთქს,  
ჩვენში ვინც კი ვარგია.

ერის მომავალს ბედზე  
ფიქრით მეტი ბარგია,  
ჯიბე—კუჭი გავამსო,  
მე მხოლოდ ის მარგია.

საერო ერთობები  
ჩემთვის იმით კარგია,  
ძროხის სუკი და ზუთხი  
კუჭისათვის მარგია.

ვინ დამძრახავს იმისთვის,  
რომ ავიღო ქრთამია?!  
ჩემი კენჭის ფასითა  
გავისტუმრო ვალა...

სინადისი, ნამუსი,  
ნეტავ რას მაქნისია?!  
ვინც კუჭ-ჯიბეს გამოძღებს,  
ჩემი კენჭიც მისია.

თუნდ ქვეყნის დამღუბველიც  
იუთს ჩემი კერზია,  
მაინც ვერ ვუღალატებ,  
ჩემი კუჭის დმერთია...

გაუმარჯოს კუჭიკოს,  
გაუმარჯოს ჯიბესს,  
ჩემი ბრძოლის დროშასზე  
მიწერია მე ესა...

ქაიხოსრო გელოვანი

ახალი ამბები და შენიშვნები.

წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში გან-  
მეორებითი ეგზამენები იწყება 17 აგვისტოდამ,  
ხოლო მისაღები გამოცდა პირველ კლასში შემსე-  
ლელთათვის დაიწყება 21 აგვისტოდამ.

ვინაიდან უწმიდესი სინოდის განკარგულებით  
და ნება-რთვით გაბრიელის ეპარქიალური სამკლა-  
სიანი საქაღებო სასწავლებელი ექვს-კლასიანად გა-  
დაკეთდა, ამიტომ წელს ამ სასასწავლებლის პირველ  
მოსამზადებელ კლასიდან მოსწავლენი გადავლენ  
მეორე მოსამზადებელში. პირველ მოსამზადებელში  
წელს მიიღებენ მსურველთ. ამავე სასწავლებელთან  
წელს გაიხსნება სამაგალითო სკოლა, რომელშიაც  
მსურველთ უფასოდ მიიღებენ.

წელს უწმიდესი სინოდისაგან დიდ ძალი ფული  
იქმნა დანიშნული როგორც საეკლესიო სკოლების  
ახალ შენობათა ასაგებად, ისე არსებულ შენობათა შე-  
საკეთებლად, მაგრამ ეს ფულები ჩვენში ჯერ კიდევ  
არ მიუღიათ. სწორეთ ეხლაა დრო, რომ სამრევლო  
სკოლების შენობანი შეკეთდენ, თორემ მალე სწავ-  
ლა დაიწყება ამ სკოლებში და სწავლის დროს  
როგორღა შეიძლება შენობათა შეკეთება!



სწორეთ სამუხარო არის, რომ ზოგიერთ ეკლესიების ეზოში გავლა აღარ ხერხდება, რადგან სასაფლაო ძეგლებით არის მოცული. შებრძანდით ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში და დააკვირდით ძეგლებს. ასეთი ამბები ხდება სხვა ეკლესიის გალავანშიაც. მადლობა ღმერთს, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია უწ. სინოდმა და უქაზით გამოაცხადა შემდეგი:

„მიიღების რა სახეში ის გარემოება, რომ მართლმადიდებლობითი ტაძრები არის ისეთი შენობანი, რომელნიც მორწმუნეთა შესაკრებ სალოცავ ადგილებად დანიშნულია და ამის მიუხედავად ხშირათ მათში დამარხულ გვამთა საფლავებზედ სდგმენ ძეგლებს და უკეოებენ ამ საფლავებს გარშემო მოაჯირებს, რაც აიწროებს მლოცავებს, უწმიდესი სინოდი სცნობს საჭიროდ, რათა შემდეგში აღკრძალულ იქნას გაკეთება ასეთი ძეგლების და მოაჯირებისა, —რაის შესახებ ეცნობოს საყოველთაოდ სასულიერო წოდებას „საეკლესიო უწყებებში“ დაბეჭდვის საშუალებით».

დაბა ჩხარში პირველი აგვისტოდამ იხსნება შორაპნის მომრიგებელი სასამართლოს განყოფილება. ამ განყოფილების გამგედ დანიშნულია ბ. ონკელი. ასეთი განყოფილება, ჩვენის აზრით, უნდა იხსნებოდეს ხალხისათვის. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ ახლად გახსნილი განყოფილების რამდენიმე საზოგადოება თხოვნას აპირებენ, რომ ისინი ისევ შორაპნის მომრიგებელ სამსახუროზე იქმნენ მიწერილნი, ვინაიდან ისინი შორაპანზე უფრო დაახლოვებულნი არიან, ვინემ ჩხარზე. ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა, რომ ამისთანა განყოფილება გახსნილიყო სოფელ უბისაში ანუ ბელაგორში, რომელთა ახლო-მახლო მკვიდრნი ძლიერ დაშორებულნი არიან შორაპანზე. აქ სამუხარო ის არის, რომ ამისთანა საქმეში თვითონ საზოგადოებას არ ეკითხებიან და მარტო ორი-სამი კაცის სიტყვით ათავებენ საქმეს.

ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად უმოწყალებად კეთილ ინება ბოძება 6 მაისს 1899 წლ.—სასულიერო უწყებაში ნამსახურობისათვის ვერცხლის მენ-

დლებისა ზედ წარწერით „ერთგულობისათვის“ გულზედ დასაკიდად,—ეკლესიების მნათეებს: დაბა გულაუთის, მეორე ხარისხის ვაჭრის სამონ ჩახავსთავას ანნას ორდენის ღენტით, და ყვირილის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა მეორე ხარისხის ვაჭრის—გუდგვან ჩუბინიძისათვის—სტანისლავას ორდენის ღენტით.


ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად წმ. ანნას ორდენის საკავალერო საბჭოს ღირს ცნობისა, მთებერვალს 1899 წელსა, ყოვლადმოწყალებად კეთილ ინება დაჯილდოება ქვემოთ ჩამოთვლილ სასულიერო წოდების პირთა წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენითა იმ სამსახურისათვის, რომელიც განმარტებულია ამ ორდენის წესდებათა მე-459-ს სტატიაში (დაწეს. ორდ. ტ. ა. კანონთა კრება გამოც. 1892 წ.)

ა) მე-15 მუხლში: ქ. ტფილისის კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდლის სოლომონ შოშიაშვილის; იმერეთის ეპარქიის, სოფლის საქარას ეკლესიის მღვდლის ლუკა ჭანაშვილისა, —იმავე ეპარქიის, სოფლის მალაკის ეკლესიის მღვდლის ტანსია ტყეშელაშვილისა.

ბ) მე-16 მუხლში: ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიის საღმრთო სჯულის მანწაველებლის, დეკანოზის ლაზარე ტურაიევისა, —ტფილისის საქალაქო ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდლის მიხეილ ბეძინაშვილისა.

უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს ჰქონდა ბედნიერება გამოეთხოვა უმაღლესი მისი იმპერატორებითის უდიდებულესობის ნება-ართვა დასახარჯად 1899 წელში 500,000 მანათისა უწმიდეს სინოდის საკუთარს საშუალებათაგან, მეორე კლასიან საეკლესიო სამრევლო სკოლების თანხად დადებულისა, შესაწევრად საზოგადოდ ყველა საეკლესიო სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მოწყობის და შენახვის საქმეში. ობერ-პროკურორის ყოვლად უქვეშევრდომილეს ამ საგნის შესახებ მოხსენებაზედ მისმა იმპერატორებით უდიდებულესობამ კეთილი ინება, 16 აპრილს 1899 წელს, საკუთარის ხელით დაწერა: „თანახმა ვარ“.





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე.

## ს ი ტ უ ვ ა,

თქმული ტფაღისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის გერმანის მიერ შემკვიდრე ცესარევიანის კუბოს წინაშე ივლისის 6-ს.

სამწუხაროა, მეტად გულის შემზარავია თვალყურის დევნა, მით უმეტეს სამძიმოა გამოცდა სულის მდგომარეობისა იმ კაცთა, რომელთა ხელთაგან და მათ თვალ-წინ უეცრად ღრმა ნაკადულში ჩაემვია უძვირფასესი საუნჯე. აი, გამოაკაშა უკანასკნელმა ელვარებამ, რომელმაც რამდენიმე წუთით თვალ სახილველ ჰყო თავზარ დაცემულთა და შემოთვებულთათვის პირის სახე საყვარელი, სასურველი, ჯერ კიდევ მახლობელ წყლის ტალღებზე მოთამაშისა, რომელიც თვალთაგან გვშორდება და მწუხარე მაცქერალთა თვალწინ რჩება მარტო წყლის ზემოდ დაშთენილი წყნარი და მკრთალი წრეები. ამ სახით ძვირფასი სიცოცხლე კეთილ მორწმუნე მემკვიდრე ცესარევიანის გიორგი ალექსანდრეს ძისა, დიდი ხნის მრისხანე მოულოდნელობისა გამო. მართალია, თან - და - თან უახლოვდებოდა შემპირუწუნებელ ნაკადულს, მაგრამ ამ ცოტა ხნის და უკანასკნელმა, ყველაზე თავზარ დამცემმა მოულოდნელობამ სამუდამოდ მოგვაშორა ეს ყველასათვის ძვირფასი საუნჯე. მაგრამ ჯერ კიდევ თავისი ბოლოე ჟამიერი სიცოცხლის დროს და თავისი სიკვდილის უკანასკნელ ჟამსაც უავგუსტოესმა გარდაცვალებულმა გამოიჩინა თავისი სულიერ-ზნეობრივი

ხასიათის საუცხოვო ელვარებანი; თვით იმ უბედური დღის წინათ,—დღით კვირას, თავისი ჩვეულებრივი ღრმა გულ-წრფელობით და გულისმოდგინებით მათ მოისმინეს წირვა და ღმობიერად ილოცეს ახლად მათ მიერ აგებულ ტაძარში; თვით იმ უბედურ დღეს,—ორშაბათს, მან მოახდინა ზოგიერთი განკარგულებანი ზარზმის უდაბნოს განახლების შესახებ; და იმავე დღეს, თავის მახლობელთა შეუწუხებლად, იგი მარტო წავიდა სასეირნოდ და ამ სეირნობის დროს, აღბად. სხეულის უზომო მოქმედებისა გამო შემთხვევა მისკა თავის საშინელს სენს, რომ იგი (სენი) მთელი საოცარი ძალ-ღონით თავს დაცემოდა მის სუსტს სხეულს და მიეყვანა იგი სრულს და ბოლოს სასიკვდილე ქანცის გაწყვეტამდე. მაგრამ ამ უკანასკნელ და უუძნელეს ჟამსაც, დახეთ, ვილაც შემთხვევით იქ დამსწრე დედაკაცის წინაშე, რომელიც დაესწრო განსვენებულს სიკვდილის დროს, სასწაულებრივ გამოისახა საყვარელი ზნეობრივი ხასიათი განსვენებულისა: იგი მშვიდად, თავისი ჩვეულებრივი მორცხვობით და დიდის თავმდაბლობით ამშვიდებს შეწუხებულ დედა-კაცს, და თავის ხმაში და თავის პირის სახეზე უნებლიედ ხატავს თავის სულიერ მწუხარებას, თავის თავზე უკმაყოფილებას, რომ სხვებს შეწუხებას და მღელვარებას აყენებს თავისი უიმედო მდგომარეობით. ფრიად გასაოცარია განსვენებულის დამშვიდებული მამაცობა, როცა სიკვდილი ასე აუცილებელი იყო, როცა კაცი, ძლეული სიკვდილისაგან, კიდევ პოულობს თავის თავში ზნეობრივ ძალებს დაამშვიდოს სხვების. სწორედ გასაკვირველია ამისთანა საშინელი ჟამის დროს ამ გვარი არა ჩვეულებრივი სიმშვიდე, მორცხოზა და ღრმა სიმდაბლე და თავის თავზე და თავის სიცოცხლეზე სრული უზრუნველობა. სწორედ გასაკვირია ამ გვარი ზნეობრივი მხარეები თავის განწირულებისა, როცა ჩვენ ყველანი და ყველგან და, მასთან, უფრო ნაკლებ საშიშო შემთხვევებში ვიჩნით რალაცა ჟინიანობას და ძალ-მოძრეობას, რომ ჩვენი უძლურება



და სწეულება სხვებს მოვახვიოთ თავზე და სრულე-  
ბით არ ვერიდებით სხვების შეწუხებას! ეს გასაკვი-  
რელი სიმდაბლე და ღრმა თავმდაბალი აზრი თავის  
პიროვნებაზე და თავის ცხოვრებაზე ჭეშმარიტად  
სახარებისებური მხარეებია, რომელთაც ასე გასაოც-  
რად გამოაბრწყინვეს უკანასკნელად ყოველთათვის  
ძვირფასს განსვენებული ცესარევიჩის პიროვნებაში.

**უავეუსტოესი განსვენებულის ეს მხარე-ბი უნებ-**  
ლიედ გვაგონებენ მაცხოვრის სიტყვებს: „რამეთუ  
ძე კაცისა არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა, არამედ  
მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრ-  
ვალთა. რომელსა უნდეს დიდ-ყოფაი თქვენ შორის,  
იყოს თქვენდა მსახურ და ყოველთა მონა“. დიახ,  
სამუდამოდ შეუერთდა ძვირფასი სიცოცხლე ზნეობ-  
რივ—ტურფა ცესარევიჩისა ვამთა უსაზომო სამწუ-  
ხარო ნაკადულს,—და ჩვენ დაგვრჩა ახლა მხოლოდ  
ერთი სამწუხარო, თუმცა საყვარელი და სასიამოვნო,  
მოგონებანი ამ საოცარი პიროვნების შესახებ. იგი,  
როგორც მშვიდი ანგელოზი, განეშორა თავის საყ-  
ვარელ სამეფო ღვიძლ სახლობას, რომელსაც იგი  
მხურვალედ უყვარდა; როგორც ანგელოზმა მშვი-  
დობისა და მოწყალებისამ, მან მოიპოვა აქაც, შო-  
რეულ მხარეში, საქართველოს მკვიდრთა შორის,  
რომელთაც იგი მხურვალედ უცვარდათ, განსაკუთ-  
რებით დიდი სიყვარული მოიპოვა მან აქაურ მაზ-  
ლობელ ადგილების მკვიდრთა შორის. აი ისმის  
ღრმა მწუხარება და ცრემლნი მოსამსახურეთა, რომ-  
ელთაც უსაზღვროდ უყვარდათ თავისი საოცრად  
მშვიდი და ნაზი უავეუსტოესი ბატონი; ისმის ქეი-  
თინი და სამწუხარო ოხვრანი და ცრემლნი ადგი-  
ლობით მკვიდრთა, განურჩევლად სქესისა და წლო-  
ვანებისა; აი ისინი, როგორც ობლები, გროვდებიან  
ძვირფასი სასახლის მოშორებით და სურთ თავისი იქ  
ყოფნით დაამტკიცონ თავისი უზომო სიყვარული  
თავისი უავეუსტოესი განსვენებულის მეგობრისა და  
კეთილის მყოფელისადმი; ყური უგდეთ, თუ რა  
საზოგადო სულიერი მწუხარებით გარემოცულნი  
არიან აქ ყველგან როგორც რუსები ისე მართლ-

მადიდებლნი ქართველნი, სომეხნი, ურიები, თათ-  
რები და სპარსელნი,—ყველა ისინი მოდიან, რათა  
გამოხატონ თავიანთი გულითადი მწუხარება და  
შეავედრონ უფალს განსვენებულის სული, იგინი  
გროვ-გროვად იკრიბებიან იმ ადგილს, სადაც ცესა-  
რევიჩმა განუტევა სული, აქ ისინი ასრულებენ სა-  
ზოგადო ღვთის-მსახურებას და ლოცვას, ზოგნი  
მიდიან სასახლეში, სადაც ცესარევიჩი ხალხს ექცე-  
ოდა სიყვარულობით, უსაზღვრო მორჩილებით,  
ქველის-მოქმედებით და მოწყალებით,—ყველანი დღეს  
მწუხარებასა შინა იმყოფებიან და ყველას მხედვე-  
ლობა მიმართულია შეუბრალებელ დროთა ნაკა-  
დულსა ზედა, ცივსა და მოწყენილსა, რომელმაც  
დაუარა ძვირფასი და საყვარელი საუნჯე—და ყვე-  
ლას უნდა უფრო ეხლა, ვინემ ოდესმე, იხილოს და  
ერთი კიდევ უკანასკნელად დასტკბეს ძვირფასი და  
საყვარელი მეგობრის და კეთილის მყოფელის სახის  
შეხედვით, მისი ნაზი ზნეობრივი სახით, მისი საყ-  
ვირველი სიმდაბლით, ჭეშმარიტი კეთილობით და  
ყველასადმი მოწყალებით. მაგრამ ცივი და უგრძ-  
ნობელი ნაკადული, რომელმაც წარიტაცა ძვირფასი  
სიცოცხლე, მღუმარებს და მოწყენილია და თავის  
ზემოთ ანარჩუნებს საწყალ ხალხთა საწილოდ, თით-  
ქო სანუგეშოდ, მარტო ერთ მშვიდ, მოელვარე  
წრეებს, მოსახსენებლად საყვარელ, თუმც სამწუხარო,  
მოგონებათა, გრძნობათა, ღრმა მწუხარებისას ანუ,  
დაბოლოს, საზოგადო, ყველას ამღელვებელი სუ-  
ლიერი მწუხარებისას... მაგრამ ჩვენ ყველამ აღტ-  
ყინებულთ უმაღლესი ქრისტიანობრივი სიყვარულით  
განსვენებული კეთილ-მორწმუნე ხელმწიფე მემკვიდ-  
რის გიორგი ალიქსანდრეს ძისადმი, შევსცვალოთ  
სულიერი მწუხარება და ვაება ლოცვა-ვედრებით  
ღვთისადმი, ყოველად შემოქმედისა და გამგებლისად-  
მი, რათა მან განსვენებულს უავეუსტოეს მეგობარს  
და გულწრფელ გულ-შემატკივარს მთელი აქაური  
მკვიდრებისას, ამ ჭეშმარიტად ქვეყნიურ ანგელოზს,  
მიანიჭოს ბრწყინვალე და კეთილ-საყოფელი სამკვი-  
დრებელი ზეციურ კაცთა შორის...





# სიტყვა

თქმული ტფილისის სასულიერო სემინარიის მოძღვრის  
ისახნ ჯაბახიასიანის მოწაფეთადმი 1898/9 სასწავლო  
წლის გამოავს.


სასწავლო წელიწადი დასრულდა. ზოგნი თქვენგანნი  
კადაღინენ შემდეგ კლასებში, ზოგმა კი დაამთავრა  
საშუალო სასულიერო განათლება და ამ უკანასკნელთაგან,  
მცირედენმა, შეიძლება კავრძელის სწავლა უმაღლეს  
სასწავლებლებში, თორემ უკვლავ დანახენი გამოვლენ  
ახალ ცხოვრებაში. შეიძლება ცხოვრებამ, სიღაც,  
საზოგადოდ, ახალ-გაზდა უმაღლესების გონება აღსაყვას  
სხვა-და-სხვა იდეალური მისწრაფებით, უზრუნველ-უა-  
ფილო და უდარდელი ცხოვრებამ როგორც თავისუ-  
ფალი თრანსფერნი, კურს დამთავრებულნი შედიან შრო-  
მით აღსაყვას ცხოვრებაში, სიღაც ბრძოლა არსებობისათ-  
ვის იკავებს ზირველ ადგილს და უკან აყენებს ეოკლეავე  
მას, რაც კაცისათვის სულიერად მაცხოვრებელია, უმაღ-  
ლესი და იდეალურია. ამიტომ დღეს, ვგონებ, მეტი არ  
იქნება განსაკუთრებით თქვენთვის, რომ კეთილი რჩევა  
მოგცეთ და ვისურვო თქვენთვის ეოკლეავე კეთილია.  
რაც უნდა სახელად იქნეს ქვეყნიური ბრძოლა, რაც უნდა  
სამწუხაროდ მოეწონს ქვეყნიური გარემობისა, — მტკიცე  
და გულწრფელი მოთმინება, განუწყვეტელი ზატიოსანი  
შრომა და კეთილ ქრისტიანობრივი ღონისძიება იუფს-მც  
მუდმივი თანამეგობარე თქვენი თქვენს ფრიად ძნელს  
ცხოვრებაში. ცოდნანი, რომელიც თქვენ შეიძინეთ სა-  
სულიერო სასწავლებელში, იქმენ ქვა-კუთხედად, მტკიცე  
საფუძვლად შემდეგ შენობათათვის, შემდეგი  
თქვენი თვით მოქმედებისათვის, თვით განათლებისათვის,  
კეთილ ქრისტიანულ მიმართულებას შინა. და ხელ-  
მძღვანელად საზოგადოებრივ, ხოლო უმეტეს თქვენგან-  
ისათვის — თქვენ მწვემსურ მოღვაწეობის საქმეში.

მე აქ მოვიხსენე თვით მოქმედება და თვით გან-  
ვითარება განსაკუთრებით იმიტომ, რომ ხშირად სულ  
სხვა სამწუხარო მაგალითებს ვხედავთ; ვხედავთ ხშირად,  
რომ კურს დამთავრებულნი სრულებით აღარ შეცადინო-  
ბენ თვით განვითარებისათვის, ზირაქით სულ უკან და  
უკან მიდიან. ზოგმა დაამთავრა კურსი და ისიც სტუ-  
დენტის ხარისხით, — და ჯერ, კიდევ ოთხ წელს არ  
გაუგლია მას აქეთ, და ეს ჩვენი სტუდენტი ისე გამო-

ერუვდა, რომ ვეღარც კი იცნობთ: რაც შეიძლება შეი-  
ძინა, ის დაავიწყდა და ახალი არაფერი შეუძინა. ეო-  
კლეავე იდეალური და მადალი მისწრაფებანი, რომელიც  
მის გონებაში სწავლის დროს ტრიალებდენ, განქრენ და  
მის გონებაში ადგილი დაიკავა მარტო ამა ამა ქვეყ-  
ნიურზე ზრუნვამ, რომელსაც თან ახლავს მუდმივი უკმა-  
ყოფილება, მუდმივი სწინერება, მუდამ ერთი ადგილი-  
დამ მერე ადგილს გადასვლა-გამოსვლა და სს. როგორც  
ხედავთ, ეს მოვლენა ფრიად სამწუხაროა. და რომ ეს  
არ მოხდეს, სიჭირბო, რომ როგორც კი შეხვალთ ცხოვ-  
რებაში, მაშინვე საქმეს მოჰკიდეთ ხელი ხალისით და  
გულ-მოდგინებით, დაუხლოდით და დაუმეგობრდით  
კარგ კაცებს, იკითხეთ კაი წიგნები, და ასე იმოქმედეთ  
ღვთის სადიდებლად თქვენი ცხოვრების უკანასკნელს  
უამამდე.

და ბოლოს, ერთი სიტყვა კიდევ უნდა გითხრათ  
უკვლავს, როგორც მათ, რომელთაც დაამთავრეს სწავ-  
ლა, ისე მათთან, რომელიც დათხოვნილ იქმენ  
საზოგადოებრივად. თქვენ ესაა წახვალთ და გაიფანტებით  
ჩვენი მხრის სხვა-და-სხვა კუთხეებში და თქვენი ეოფნა  
გაუნათლებელ ხალხთა შორის ემზგავსება ძვირფას ელ-  
ვარე ქვას, რომელიც ძვეს მიბნელებულ ადგილს. ელვა-  
რე ქვას ბნელ ადგილზედაც კი შენიშნავს კაცი, თუ ეს  
ქვა განზრახ არ არის დაფარული რითიმე. ასეთივე  
მნიშვნელობა გექნებათ თქვენც გაუნათლებელ ხალხში, —  
თქვენ უნდა შეიტანოთ სინათლე და კეთილ-ქრისტიან-  
ული წესები გაუნათლებელი ხალხის ცხოვრებაში. სასი-  
ამოვნო მოწმობანი, სასიამოვნო ხმები თქვენს შესახებ,  
უკვლეა, თქვენს მეუფროსეთ, მასწავლებელთ და აღმ-  
ზრდელთ დიდად სიამოვნებენ. წინააღმდეგ, დმერთმა  
ნუ ჰქნას, რომ ვინმემ თქვენზე რამე ცუდი სთქვას:  
„აი სასულიერო სასწავლებლის მოწაფე რა საქმეებს ხა-  
დაის“. ვისურვებ, რომ ეს არ მოხდეს.

თქვენი აღმზრდელი ღვიძლი „ილია მატერ“  
ღონისძიებებით გისტუმრებთ თქვენი მშობლების და  
ნათესავების სახლებში და სურვობს თქვენთვის კარგს  
მოგზაურობას, სურვობს, რომ თქვენ ზაფხულში  
მოგკარიბოსთ ძალ-ღონე და ხელახლად მშვიდობით დაბ-  
რუნებულყოთ, რათა ახალი ძალ-ღონით შეუდგეთ თქვენს  
ჩვეულებრივ შრომას.





# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო წინადათა, განყოფილება.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

**კითხვა.** შეიძლება თუ არა, რომ დიდი ხნის წინსახური გარდაცვალებული მღვდლის ოჯახს ახლად დანიშნულმა მღვდელმა ან მნათემ მოსახოვოს ფული ეკლესიაში დახარჯული სათლისა და შესამოსლისა, რომლითაც შემოსილ იქმნა გარდაცვალებული მღვდელი?

**მაგება.** ამის შესახებ არავითარი კანონმდებლობა არ არსებობს. დიდი ხნის წინსახური მღვდლისათვის ერთი ხელი საფლავში ჩასაყოლებელი შესამოსლისათვის ფულების გარდახდევინება სწორედ უჯგოა და არც შეიძლება. ჩვენში კი მღვდლები თვითონვე იმზადებენ ახალ შესამოსელს მათი დამარხვის დროს საჭიროს.

**კითხვა.** როცა გარდაცვალებული მღვდლის გვამს მიასვენებენ ეკლესიაზე დასამარხავად, რიგია თუ არა ეკლესიას შემოარონიონ გარდაცვალებული?

**მაგება.** ამ წესის შესახებ არა ვითარი კანონმდებლობა არ სუფევს. მაგრამ არქიერის დასაფლავების დროს ეკლესიას შემოატარებენ გარდაცვალებულ მღვდელ-მთავარს. ამის მიხედვით მრავალს ადგილას გარდაცვალებულ არქიმანდრიტებსა და მღვდლებსაც ერთ გზის შემოატარებენ ეკლესიის გარეშე, და ამის ასრულებაში არავითარი წინააღმდეგობა არ არის.

**კითხვა.** ჯვარის წერა სურს გარეშე სახელმწიფოს კაცს, რომელიც დღეს დღეობით ჩვენში სცხოვრებს. რა საბუთები უნდა მოეთხოვოს ამისთანა კაცს?

**მაგება.** უთუოდ უნდა მოეთხოვოს საბუთი იმ სახელმწიფოს კონსულისა, რომელ სახელმწიფოდამაც გვირგვინის მაკურთხებელია, რომ იგი ნამდვილ უცოლოა.

**კითხვა.** როგორ უნდა დაისაჯოს მღვდელი, რომელიც დარწმუნდა ოთხი-ხუთი კაცის ხელწერილის მიცემით, რომ სასიძო ან სასძლო სრული წლოვანია და ნამდვილ კი აღმოჩნდა, რომ სასიძო ან სასძლო მცირეწლოვანი ყოფილა და მღვდელს არ შეეძლო ამის შეტყობა, რადგან საეკლესიო საბუთებში განტევებული ყოფილა სასიძო, ან სასძლო?

**მაგება.** გვირგვინის მაკურთხეველი მღვდელი მთელი კრებულთ უნდა დაისაჯოს თანახმად კანონისტორიის მე-188 მუხლისა, მღვდელი ვალდებულია ჯეროვანი საბუთები მოსთხოვოს მექორწინეთ. ხელწერილის წარდგენა სრულებით არ შეუმსუბუქებს სასაჯელს ხელწერილის მიმღებ მღვდელს.

**კითხვა.** ვისი ვალდებულებაა სამრევლო ეკლესიის ქონების აღწერა: ბლალაჩინის თუ მრევლის მღვდლისა და შეიძლება თუ არა, რომ ამ აღწერისათვის საშრომი მიიღოს აღმწერმა და თუ შეიძლება საშრომის მიღება, რომელი წყაროიდან?

**მაგება.** როგორც სჩანს კანონისტორიის წესდებულების 137 მუხლის დამატებისაგან, სამრევლო ეკლესიის ქონებას აღწერა სავალდებულოა მრევლის მღვდლისათვის და არა ბლალაჩინისათვის. მრევლის მღვდელი ვალდებულია თავისი პასუხის გებით მიანდოს ეს საქმე ეკლესიის კრებულის რომელიმე წევრს. საშრომის მიღება ამ აღწერილობისათვის არ შეიძლება.







### მეწირულეები.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში გამოსაცხადებლად შემდეგი წერილები:

#### I.

მ. რ. გთხოვთ თქვენის პატივცემულის ჟურნ და „მწუქესი“-ს საშუალებით ჩემგან მადლობა გამოუცხადოთ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც კეთილ იწყებს და შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ცხრა-წყაროს საერევლო სამრევლო სკოლას: აზნ. სპირდონ გ. დეევაძე 2 მან., ოძინ ი. იოსელიანმა 1 მ., ვარდენ ჩხაიძე 1 მ., მთავარ დიაკონმა მაქსიმე ჭუმბაძემ 1 მ., კირილე ოდიშარიამ 1 მ. კლიმენტი ერისთავმა 1 მ., სამსონ ელიაშვილმა 1 მ., სპირდონ ნ. ქუდენტმა 1 მ., სოლომონ აღ. მაჭავარიანმა 1 მ., ნარამან რ. გოცაძემ 1 მ., მდ. თ. დუდლაძის მეუღლამ ოღდა იოსების ასულმა 1 მ., მარია გაჩეჩილაძისამ 50 კპ, ბესარიონ ან. კელიძემ 50 კ., აზნ. შიშენ გამცემლიძემ 50 კ., ილია გ. მადლაგელიძემ 50 კ., ივანე ბუნაგაშვილმა 50 კ., ალექსანდრე რ. თაბაგარმა 50 კ., ვანო თ. არღიშვილმა 50 კ., იოსებ გ. გაბუნიაძემ 50 კ., აღმასხან ბებიაშვილმა 50 კ., სერაფიონ მესხიშვილმა 40 კ., ქრისტეფორე ვ. დარახველიძემ 40 კ., ვასილ მშვენიერაძემ 40 კ., ალექსი კვანტრიშვილმა 40 კ., სერგო ნებიერიძემ 40 კ., ივანე გუნიავამ 30 კ., ქიშვარდი ხუნდაძემ 30 კ., ნიკოლოზ მშვიდლობაძემ 40 კ., და მდვ. თ. დ—ძემ 5 მან. და 50 კპ. და სრულიად 205 მანეთი.

გამგე ცხრა-წყაროს სამრევლო სკოლისა მდ. თამა დუგლაძე.

#### II.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულისათადი მადლობა გამოუცხადოთ კონსტ. ხურცაძეს, რომელმაც თავის შრომითა და საფასით შემოსწირა დვალიშვილების სამრევლო სკოლას სახელი, დირებული 250 მან. რომელშიაც მოთავსებულია ზემოხსენებული სამრევლო სკოლა.

დვალიშვილების სამრევლო სკოლის მასწავლებელი ივანე დვალიშვილი.

#### III.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის „მწუქესი“-ს საშუალებით გულისათადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე აგრეთვე ჩემმა სამრევლო მატრონა ჩიქოვანის ასულს გუგუშვილისას, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო 5 ესკოვის წმ. გ. ეკელესიას ერთი თორმეტ-დერიანი დასავიდებელი დესტრა, დირებული 60 მანეთად. აგრეთვე დედასა მისსა ელისაბედ ჩიქოვანისა შვედიას ასულს, რომელიცა ხშირად სწირავს მისი ხელით გაკეთებულს ტრაპეზის შესამოსელს, სამკვთლოსა და სხვ.

ნასაკოვის წმ. გ. ეკელესიის მდვ. მ. კლაივა

#### IV.

მ. რ. გთხოვთ უმორჩილესად თქვენის პატივცემულის გაზეთის „მწუქესი“-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ რწმუნებულ ჩემდა თაბორის ჯვარ-ცმის ეკელესიის სამრევლოს ორთავე სქესის უმრავლეს პირთ, რომელთა კეთილ ნებდობით შემოსწირული ფულით შემკულ იქმნა 1898 წელში წმიდა ნაწილებითი ჯვარცმის ხატი და მოპოებულ ტრაპეზის დიდი საწინაწილე, დირებული უველა თერთმეტ თუმნად. თაბორის ჯვარ-ცმის ეკელესიის მტატის მდ. დავით ქასკელაძე.

#### V.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწუქესი“-ს საშუალებით გულისათადი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც მე, აგრეთვე რწმუნებულის ჩემდამო მონასტრის კრებულის ძმებმა სოფ. ჯვარისის მცხოვრებს აზნ. ივანე კვიციანიშვილს და მეუღლესა მისსა ანა წერეთლის ასულს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო ჭელიშის მონასტერს ხუთი თემანი ფული.

წინამძღვარი ჭელიშის მონასტრისა ანხიმანდრატი დანიელ.





გვიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ  
პირველ გამოცემათა ქართულს

# „მწუემს“-ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე  
ქურნალის ფასი:

12 თვით «მწუემსი» 3 მ. | 6 თვით «მწუემსი» 2 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.  
— ,, ორივე გამოცემა 5 მ. | — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

ზაფხუთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც  
ვერიანში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში  
წერა-კაზხის გამაერცელებელ საზოგადოების წარმის  
მაღაზარში, ბ. შოა ქუჩაზეა. ფოთში — დეკა-  
ნოზ მ. გრიგოლ მაჭაროეთან; საჩხერეში — ყარაან  
ჩხეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუროეთან;  
ახალსენაკში — ბლაღოჩინ მათა ანატოლ კალანდარი-  
შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზრდები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მას ეთ ა დ.  
რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილ-  
ბის სახლებში და ვერიანში რედაქტორის საკუთ არ  
სახლებში.

ზარემზე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ  
ამ აღრესით: Въ Квирны, въ редакцію газеты  
журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის  
დანისწულია საჩუქრად **სახსულმს ღვთის-  
მყოფლის ფოტოგრაფიული ნახატი.**  
და ჩვენი მოღვაწის ჯგონის

## აკაკის სურათი,

ზრესტოლის ქალღმრთელ დაბეჭდილი.  
ზემოაღნიშნულ საჩუქრეს ხელის მომწერნი  
მიიღვენ ფულის შემოტანისათანავე.

## ქართლ საავათმყოფო ავგულებო რიითურთ ს. ბ. თოფურისნი. ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი-  
ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით,  
ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით  
ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფ-  
ნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3  
საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს  
მ. ს. ბ. თოფურია.

ხირირგიურ შარდით სიფილისით და თვალების  
ავათმყოფობისათვის.

მ. ფ. კ. გერაბტი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიო ქალი.  
მ. მ. ფ. კოგანი.

რჩევა დარეგების ფასი 50 კ., კონსი-  
ლიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა სა-  
ავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით  
2—3 მანეთამდე, აზვრაციის ფასი გარეგებაზე.  
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

### ფ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურა განყოფილება: მისი იმპერა-  
ტორების უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის  
მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალება. — სიბრძნე,  
მისი საკირება ზნეობრივ განვითარებისთვის, მისი ხასიათი  
და მისი განვითარების საშუალებანი. — იმერეთის ეპარქიის  
სამღვდლოების დეპუტატების საგანგებო კრება ქ. ქუთაისში  
მაისის 31 და ივნისის 1 და 2 რიცხვებში. — კენჭოსანის აღ-  
სარება (ლექსი). — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მაცნეობა ძრისტიანობრივ სარწმუნ,  
და ამთილ-ჯნეობაზე: სიტყვა, თქმული ტფილ. სასულ.  
სემინ. ინსპექტ. არქივ. გერმოგენის მიერ მემკვიდრე ცესარე-  
ვიჩის კუბოს წინაშე. — სიტყვა, თქმული ტფილ. სასულიერო  
სემინ. მოძღვრის ი. ლაბაძისავაი მოწაფეთადმი.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება:  
საეჭვო კითხვების განმარტება. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 июля 1899 г. — Цензоръ прот. Е. Е л и е в з.

Типог. редакци журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.